საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 380
24/01/2020

380-0-4-202001241315

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და მე-13 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში წარმოდგენილი უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით 2020 წლის 24 იანვარს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსს, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მალხაზ გორგოშიძეს (პ/ნ 33001024003);

3. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 24 იანვარს 15:00 საათიდან 2020 წლის 31 იანვრის 15:00 საათამდე პერიოდი;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია